

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 12.01.09 წლის
სხდომის ოქმი №51

სხდომის თავმჯდომარე, რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფ. ა.ფრანგიშვილი.

სხდომის მდივანი, პროფ. გ. სალუქვაძე

სხდომას ესწრებოდნენ სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრები: პროფ. კ. ამირეჯიბი, პროფ. გ. სალუქვაძე, პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი, პროფ. ნ. სინარულიძე, პროფ. ო. ზუმბურიძე, პროფ. ზ. მგელაძე, პროფ. ნ. ფოფორაძე, პროფ. ზ. გასიტაშვილი, პროფ. ა. ლაშხი, პროფ. ლ. დოდელიანი, პროფ. თ. ბაციკაძე, პროფ. ზ. ლომსაძე, პროფ. გ. მჭედლიშვილი, პროფ. ბ. ბოქლონიშვილი, პროფ. გ. აბრამიშვილი.

მოწვეული პირები: სტუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, პროფ. მ. თევზაძე, სტუ-ს საარჩევნო კომისიის მდივანი, პროფ. ლ. კლიმიაშვილი, სტუ-ს საარჩევნო კომისიის წევრი ლ. ფარულავა, გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე, პროფ. ი. თვალავაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო **დღის წესრიგი**. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, საბჭოს წინაშე წარსდგა სტუ-ს რექტორის არჩევნებთან დაკავშირებით შექმნილი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, პროფ. მ. თევზაძე, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სტუ-ს რექტორის არჩევნებში მონაწილეობის რეგისტრაციის ვადა ამოიწურა 2009 წლის 10 იანვარს და მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა სამმა კანდიდატმა: პროფ. ა. ფრანგიშვილმა, პროფ. პ. კერვალიშვილმა და პროფ. ა. ლაშხმა. სამივე კანდიდატს დოკუმენტები წარმოდგენილი აქვს მოთხოვნის შესაბამისად, ამრიგად ისინი დაშვებულნი არიან სტუ-ს რექტორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც ჩატარდება 2009 წლის 14 თებერვალს, აღნიშნა პროფ. მ. თევზაძემ.

აკადემიური საბჭოს წევრებმა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, პროფ. მ. თევზაძის ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

დღის წესრიგის **მეორე საკითხზე**, რომელიც ეხებოდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს წლიურ ანგარიშს, (საანგარიშო პერიოდი 2008 წლის 1 იანვრიდან 26 დეკემბრის ჩათვლით) ინფორმაცია გააკეთა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მდივანმა პროფ. გ. სალუქვაძემ. საბჭომ პროფ. გ. სალუქვაძის ინფორმაცია მიიღო ცნობად და წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე, რომელიც ეხებოდა სტუ-ს არჩევნების ჩატარების შესახებ დებულებაში სტილისტურ შესწორებებს, ისაუბრა პროფ. ზ. ლომსაძემ.

საბჭომ სტუ-ს დებულება არჩევნების ჩატარების შესახებ წარმოდგენილი სახით მიიღო და საბჭოს გადაწყვეტილებით ის განთავსდება სტუ-ს ვებ – გვერდზე. (ასლი ინახება აკადემიური საბჭოს სამდივნოში.)

სტუ-ს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
პროფ.

ა. ფრანგიშვილი

სტუ-ს აკადემიური საბჭოს მდივანი,
პროფ.

ბ. სალუქვაძე